წელიწადი მესამე
ფასი 7 კაპ.
ოთხშაბათი, 8 მარტი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—[illegible] კ., [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს უვეცლგან 10 კაპ.

№ 53 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 53

ქართველო ქალებო შეიკრიბენით!

თბილისის ქალთა საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს ქართველ ქალებს, რომ შაბათს, 11 მარტს, დღის 12 საათზედ „ძმურ ნუგეშ"-ში (გოლოვინის პროსპექტი № 16)

დანიშნულია საგანგებო კრება

რუსეთის რევოლუცია

ქართველებო. შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!

მომენტისათვის

ევროპის ისტორიაში იშვიათია ისეთი რევოლუცია, რომელსაც კონტრ-რევოლუცია არ მოჰყოლოდეს. საფრანგეთის დიდს რევოლუციას ჯერ ნაპოლეონის ბატონობა მოჰყვა, მერე მეტერნიხისა და „ღვთაებრივი კავშირის" რეჟიმი; თებერვლის რევოლუციამ ივნისის სისხლის ღვრა გამოიწვია, პარიზის კომუნამ მაკმაჰონეს დიქტატურა; რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ორიოდე წელს გაგრძელდა, მას მოჰყვა ხანგრძლივი რეაქცია, რომელმაც გუშინდელ დღემდე გასტანა.

მოსალოდნელია თუ არა კონტრ-რევოლიუცია დღევანდელი რევოლუციის შემდეგ? ეს რევოლუცია თავის მიზნებით წმინდა ბურჟუაზიულია. აღმასრულებელ კომიტეტსა და სამინისტროში რუსეთის ზომიერი ბურჟუაზიის წარმომადგენლები სხედან: გუჩკოვი, მილიუკოვი, შულგინი, ტერეშჩენკო და სხ. მაგრამ ეს დროებითი მართველობა რევოლუციურ ჯარსა და პროლეტარიატს ეყრდნობა. ამ უკანასკნელს კი სოციალისტები შეთაურობენ.

რეაქცია განმარტოებული და გარიყულია. როგორც სჩანს ძველს მთავრობას ძლიერი მოკავშირეები არა ჰყავს არც ხალხში, არც არმიაში. შეიძლება აგრარული არისტოკრატიის, უმაღლესი აფიცრობის და ბიუროკრატიის ერთი ნაწილი სულით და გულით მის მხარეზე იყოს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ელემენტები ვერ გაბედავენ შეკავშირებას და თაოსნობის გამოჩენას.

მაგრამ დღეს უფრო ხალხის სულიერი ცვალებადობაა საშიში, ვიდრე რეაქციურ ძალთა შეკავშირება და ამოძრავება. საშიშია აგრეთვე რევოლიუციურ ძალთა გათიშვა. თუ პროლეტარიატმა უკიდურესობა გამოიჩინა და გადაჭარბებული კლასობრივი მოთხოვნილებები წამოაყენა, ზომიერი ბურჟუაზია დაფრთხება და ძველი რეჟიმისკენ გადაიხრება. მეორე მხრივ თუ ბურჟუაზიამ მუშათა კლასს სამუშაო და საკვები ვერ მიაწოდა, ხალხის რევოლუციური აღფრთოვანება გაცივდება.

რა სწადია ხალხს? პოლიტიკური უფლებების მოპოვება არ არის საკმაო. მას სწადია პური და მშვიდობიანობა. დამახასიათებელია, რომ უკანასკნელი ამბოხების დროს აჯანყებული ხალხი გაიძახოდა: ძირს მეფის მთავრობა, ძირს ომიო. მეფის მთავრობა დაემხო, მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. სასურველია, რომ ახალი მთავრობა არ გამოეკიდოს ძველ იმპერიალისტურ ოცნებებს. დაე მან შეჰკრას საპატიო ზავი, მაგრამ თავი დაანებოს წმ. სოფიასა და შორეულს სრუტეებს.

ომის გაჭიანურება კიდევ უფრო გაამწვავებს სასურსათო კრიზისს. მოსალოდნელია, რომ სპეკულიაცია შეიბოჭება. რკინის გზა მოწესრიგდება, განაწილების საკითხი უკეთ მოეწყობა. მაგრამ სასურსათო კრიზისი მარტო უწესრიგობით როდი არის გამოწვეული. ბოლო დროს რუსეთში პურისა და საკვების ნაკლებობამაც იჩინა თავი. ამ ნაკლის შევსება კი არ შეიძლება ნახევარ ზომებით. საჭიროა რადიკალური საშუალება: სახელდობ, შეიარაღებული ახალგაზრდობის ოჯახში დაბრუნება.

რევოლუცია გაიმარჯვებს თუ მან ხალხს პური და მშვიდობიანობა მიაწოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში რეაქცია თავს წამოჰყოფს პირველ მოხერხებულს შემთხვევაში.

CORAM POPULO.

სამართლიანმა და მრისხანე ისტორიამ წარმოსთქვა თვისი განაჩენი! ჯერ კიდევ გუშინ თითქოს უძლეველი ძველი მთავრობა, აბსოლიუტიურ წყობილების სულის ჩამდგმელი—ხალხს რომ მაჯლაჯუნასებრ გულზე აწვა და არ აძლევდა სულის აღმოთქმის შეძლებას, მთავრობა, უაღრესის გათახსირების და სისაძაგლის გამომხატველი, უსამართლო და მოქრთამე, მოღალატე და სამშობლოს გამყიდავი,—დღეს აღშფოთებულ ხალხისა ფერხთა ქვეშ გდია საშინელ სამსჯავროს მოლოდინში!

რუსეთის ხალხის აჯანყება, თავსზარდამცემის სისწრაფით მომხდარი, წარმოადგენს ფრიად შესანიშნავ მოვლენას მსოფლიო ისტორიულ ცხოვრებაში. საზოგადოთ გავრცელებული აზრია, რომელსაც ეთანხმება აგრეთვე აკადემიური სახელმწიფო უფლების მეცნიერება, რომ რევოლიუცია ხდება მაშინ, როდესაც კოლლიზია არსებულ პოლიტიკ-იურიდიულ ნორმების და ხალხის გულისთქმის და მისწრაფების შორის უკიდურესობას აღწევს; ძველი წესების ვიწრო ჩარჩოებს ვერ ეგუება ერის გაზრდილ-გარდაქმნილი შეგნება: შეჯახება აუცილებელი ხდება!

აწ მომხდარ აჯანყების casusbelli სხვა ნიადაგზეა დამყარებული. რუსეთის ხალხის შეგნება დიდი, ძლიერ დიდი ხანია გასცილდა არსებულ პოლიტიკურ წყობილების ფორმებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ათეული წლობით ხალხი კვნესოდა მის ბრჭყალებში და თუ ჟამად იგი ლამობდა მისგან თავის დახწევას, გამარჯვებული მარადის მთავრობა გამოსულა; რეაქციის ბასრი ბრჭყალები უფრო ღრმად ესობოდა ხალხის სხეულს..

მაშ რითი აიხსნება, რომ ესოდენი ხნის გარდუწყვეტელი საკითხი, ასე უეცრივ და კატეგორიულად გადიჭრა თებერვლის გასულს? როგორ უნდა ავხსნათ ფსიხოლოგიურად ასე გარკვეულად გამოსახული და, მგონია, შეურყევლად დამკვიდრებული ხალხის ნებისყოფა? რა არის უახლოესი მიზეზი დღევანდელის გამარჯვებისა? ამაზე პასუხს იძლევა რევოლიუციის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი პ. ნ. მილიუკოვი ხალხისადმი მიმართულ თავის უკანასკნელ სიტყვაში: არსებულ კოლლიზიას თან დაერთო ისეთი რამ ფაქტორი, რომელიც გადაყენებულ მთავრობის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენდა და მკაფიოდ განსაზღვრავდა მას ყოველ დროის დ ყოველ სახელმწიფოს მთავრობისაგან. ჩამოგდებულ მთავრობას ახასიათებდა არა თუ რეაქციის ტრფიალი და ხალხთა დაჩაგვრის ტენდენცია,—ეს ხომ მისი თანდაყოლილი ცოდვაა! იგი იყო მთავრობა უსინიდისობისა და გახრწნილებისა! არც ესა კმარა: იმავე მილიუკოვის დახასიათებით, იგი იყო რეგვენი—უგუნური მთავრობა...

ილაჯ-გაწყვეტილი ხალხის ტრაგედია ამაზე ძლიერად აღარ გამოისახება! საუკუნოებით შებოჭილი, დაძაბუნებული, დამცირებული ერი შეინძრა, მოიკრიფა უკანასკნელი ღონე... და მიაწვა მტარვალის სასახლის ბოძებს... დაეცა სასახლე და „ფილისტიმელები" ქვეშ მოიყოლია!

ქართველობა მოულოცავს რუსეთის ხალხს ბრწყინვალე გამარჯვებას! ძველი რეჟიმის გამგეობა ყველაზე მძიმედ ჩვენ გვაწვებოდა ზურგზე. საკუთარის ნებით შეერთებული სახელმწიფო, სიმდიდრით და დიდებული ბუნებით აღსავსე, თვალთ-მაქცმა დესპოტიამ უბრალო პროვინციად გახადა. იმპერიალიზმით გატაცებულმა, მან მოუსპო ქართველობას თვისი კულტურა და სახელოვან ერის ასსიმილიაცია განიზრახა. ყოველივე გამოჩენა ერის თვით არს კულტურისა თავიდანვე იხშობოდა. ერის ბედი ხელს ეკავათ გარყვნილ-მაბეზღართ. მოგვიკლეს ენა, ზნე, ჩვეულება, განიტაცეს ერის სიმდიდრე, განდევნეს მამულისათვის თავ-დადებულნი! ზიზღი და კრულვა ერის დამჩაგვრელებს!

ქართველობა მოგილოცავთ გამარჯვებას!

განახლებულ რუსეთში თავისუფლებისათვის ბრძოლა ღირსეულად უნდა დაგვირგვინდეს, უნდა ებოძოს თავისუფლება მას, ვისი მრავალსაუკუნოვანი დიდებული ისტორია იყო, ისტორია თავისუფლებისათვის სახელოვანი ბრძოლისა! შეწყვეტილი ისტორია უნდა განახლდეს და ერი ზეიმით მიეგებოს მას!

უნდა შესწორდეს ისტორიის წინაშე ჩადენილი უსამართლობა!

რ. ინგილო.

დეპეშები

დროებითი მთავრობისაგან

პეტროგრადი. ოფიციალი. „რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქენო! აღსრულდა დიადი საქმე. რუსეთის ხალხის ძლევამოსილმა აღფრთოვანებამ ძველი წესწყობილება დაამხო. ახალი თავისუფალი რუსეთი დაიბადა. 1905 წ. 17 ღვინობისთვის აქტში, რუსეთის გამოღვიძებულ ხალხის ზეგავლენით, აღთქმული იყო კონსტიტუციური თავისუფლებანი. მაგრამ ეს დაპირებანი სისრულეში არ მოუყვანიათ. ხალხის იმედის გამომხატველი პირველი სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს. მეორე სათათბიროსაც იგივე ბედი ეწია და 1907 წ. 3 თიბათვის აქტით დასუსტებულს ჩამოეცალა საკანონმდებლო საქმეში მონაწილეობის უფლებათა ნაწილი. ქვეყანა კვლავ ჩაახრჩეს თავგასულ თვითნებობის მორევში. მთავრობამ ვერავითარის ღონით ვერა შეისმინეთ რა და მტრის მიერ ომში ჩათრეული, რუსეთი ომს შეჰხვდა თავგზადაბნეულ, ხალხისაგან გათიშულ, მის ბედიღბლის მამინაცვლად მოვლენილ და სამარცხვინო ბიწიერებაში ჩაფლულ მთავრობით. ვერც თავგანწირული მამაცობა ჯარისა, რომელიც შინაურ საშინელ არევ-დარევისა გამო წელში გაწყვეტილი, ვერც ღაღადისმა ხალხის წარმომადგენელთა, რომლებიც ეროვნულ განსაცდელის დროს გაერთიანდნენ, ვერ აბრუნებინა პირი ვერც იმპერატორად ნამყოფს და ვერც მის მთავრობას, რათა ხალხთან დაკავშირების გზას დასდგომოდა და როდესაც მთავრობის უკანონო და დამღუპველ მოქმედებით რუსეთი უდიდეს განსაცდელში ჩავარდა, ხალხს თვითონ უნდა ჩაეგდო ხელში მთავრობის სადავეები. ხალხის ერთსულოვანმა მომენტის შემგნებმა სარევოლიუციო მისწრაფებამ და სახელმწიფო სათათბირომ შეჰქმნა დროებითი მთავრობა, რომელმაც თავის წმინდა და პასუხსაგებ მოვალეობად მიიჩნია ხალხის ნატვრა განახორციელოს და ქვეყანა დააყენოს სამოქალაქო მოწესრიგების ნათელ გზაზე. მთავრობას სწამს, რომ უმაღლესი მამულიშვილობა, რომელიც ხალხმა ძველ მთავრობის ბრძოლაში გამოიჩინა, აღაფრთოვანებს ჩვენს სახელოვან მეომართ ბრძოლის ველზე. მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა ჯარს ყოველიფერი საჭირო სახსარი მიაწოდოს, რათა ომი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს. მთავრობა წმინდად დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან კავშირს და ეცდება აღასრულოს მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულებანი. მთავრობა ზომებს მიიღებს გარეშე მტერთაგან ქვეყნის დასაცავად; ამავე დროს მთავრობას უპირველეს მოვალეობად მიაჩნია ხალხის გულის თქმას გზა მისცეს მართვა-გამგეობის საქმეში და რაც შეიძლება მოკლე ხანში დამფუძნებელი კრება მოიწვიოს საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით არჩეული, და ამ საქმეში ბრძოლის ველზე სისხლად ნაწრეტ სახელოვან მებრძოლთა უფლებანიც უზრუნველყოთ. დამფუძნებელი კრება გამოსცემს ძირითად კანონებს, რომელიც უზრუნველჰყოფს უფლებათა განუსაზღვრელ საფუძველს, თანასწორობას და თავისუფლებას. გვესმის რა მთელი სიმძიმე ქვეყნის მჩაგვრელ უუფლებობისა, რომელიც ჰბორკავს ხალხის შემოქმედებითს მისწრაფებას ხალხის უმძიმეს რყევის დროს, დროებითი მთავრობა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს დაუყონებლივ, დამფუძნებელ კრების მოწვევას, უზრუნველჰყოს ყოველი მოქალაქის საყოველთაო საარჩევნო უფლება ადგილობრივ თვით მართველობათა არჩევნების საქმეში. ხალხის განთავისუფლების ჟამს მთელი ქვეყანა სასოებით და მადლობით მოიგონებს, ვინც პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ რწმენისათვის გაიწირა შურის მაძიებელ ძველ მთავრობისაგან და დროებითი მთავრობა თავის სასიხარულო მოვალეობად ჩასთვლის პატივით დააბრუნოს ციმბირად მყოფი და სატუსაღოებში გამომწყვდეული სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის წამებულნი. ამ საქმის აღსრულების დროს, დროებითი მთავრობა აღფრთოვანებულია იმ რწმენით, რომ იგი ამ ნაბიჯით ხალხის სურვილის აღმასრულებელია, და მთელი ერი მხარს მისცემს მას რუსეთის ბედნიერების უზრუნველყოფის მისწრაფებაში. ამ რწმენაში ჰპოულობს იგი სიმხნეს. მხოლოდ ხალხის მჭიდრო შეკავშირება და ხელის შეწყობა უზრუნველ ჰყოფს ახალ წეს-წყობილების გამარჯვებას.

კოკოვცევის, და რენენკამფის დატუსაღება

ფინანსთა მინისტრად ნამყოფი კოკოვცევი და 1905 წლის რევოლუციის ჩამქრობი რენენკამფი დაატუსაღეს.

ძველი დაწესებულების გაუქმება

პეტროგრადი, 4 მარტი. მთავრობის განკარგულებით გაუქმდა კანცელარია უმაღლეს სახელზე მისალებ თხოვნებისა. იუსტიციის ძველი მინისტრის ამხანაგები სამსახურიდან გადადგნენ. ფინლანდიის საქმეების შესახებ ბრუნდება მინისტრი როდიჩევი, რომელიც მოელაპარაკება მინისტრთა საბჭოს ფინლანდიის სეიმის მოწვევაზე. უმაღლესმა მოხელეებმა და სახელმწიფო კანტროლის საბჭომ დაადგინეს მიესალმნენ ახალ მთავრობას. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ ბრძანება გასცა შეადგინონ პროექტი ამნისტიის შესახებ. იუსტიციის მინისტრმა ბრძანება გასცა შესწყვიტონ გამოძიება რასპუტინის მკვლელობის შესახებ. იუსუფოვს და დიდ მთავარს დიმიტრი პავლეს ძეს შეგიძლიათ დაუბრკოლებლივ დაბრუნდეთ პეტროგრადშიო. შეუდგა რა თანამდებობის აღსრულებას, იუსტიციის მინისტრმა უწყებათა მოხელეებს მიჰმართა, რომ რუსეთში აღდგენილ უნდა იქმნეს სამართლიანობაო. ვისაც სვინდისი ხელს უშლის ახალ მთავრობას დაემორჩილოს, დაუყონებლივ უნდა გადადგეს თანამდებობიდან. ყველა დიდ ქალაქებში ხალხი და ჯარი ახალ მთავრობას მიემხრო.

დაწვრილებითი ცნობანი მეფის გადადგომისა

„უტრო როს."-ა გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის გადადგომისას: პსკოვში მივიდნენ სამხედრო მინისტრი გუჩკოვი და დროებითი მთავრობის წევრი შულგინი. ესენი მეფეს მატარებელში ესტუმრნენ. მეფე გამოეგება და სრულის დამშვიდებით განუცხადა: „ყოველიფერი მოვიფიქრე დ გადაწყვიტე ტახტზე ხელი ავიღო, მაგრამ ჩემს ძეს ვერას გზით ვერ დაულოცავ ტახტს, რადგანაც რუსეთიდან უნდა წავიდე და მას გვერდიდან ვერ მოვიშორებო. ტახტს გადავცემ ჩემს ძმას მიხეილს. გუჩკოვმა და შულგინმა სთხოვეს მეფეს, კიდევ მოიფიქროს. ნიკოლოზ მეორე სოლო-ვაგონში შევიდა. 20 წუთის შემდეგ გამოვიდა და გამოიტანა დაბეჭდილი მანიფესტი, რომელშიაც ხელით იყო ჩასწორებული: „ჩემი გარდაწყვეტილება მტკიცე და გარდუვალია" და მანიფესტი მინისტრს გუჩკოვს და შულგინს გადასცა. გუჩკოვი დ შულგინი 3 მარტს პეტროგრადში დაბრუნდნენ. სადგურზე ახალი მინისტრები შეხვდნენ და ერთათ გაემართნენ დიდ მთავარ მიხეილთან. მიხეილმა გულდასმით მოუსმინა და უპასუხა: „ასეთ პირობებში როგორ შემიძლიან მთავრობის სათავეში ჩადგომა, როდესაც ეს უფრო მეტს არეულობას გამოიწვევსო". მცირე ხანს მეორე ოთახში მოფიქრების შემდეგ გამოვიდა და განუცხადა: „გადაჭრით გადავწყვიტე გვირგვინი არ მივიღო, მაგრამ თუ სათათბირო და ხალხი მოისურვებს ჩემს რეგენტობას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, მაშინ დავთანხმდებიო". იქ მყოფი კერენსკი დიდ მთავარს მიუახლოვდა და უთხრა: „თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, ყველგან და ყველას ვაცნობებ თქვენს სიტყვებს და თქვენს საქციელს".

მინისტრების გადაყენება

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ თანამდებობიდან გადააყენა საშინაო საქმეთა მინისტრის ამხანაგები ანციფეროვი და სოსნოვსკი, აგრეთვე სასოფლო სასურსათო საქმის გამგე კოვალევსკი.

მთავრობის განკარგულება

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ სენატის პირველ დეპარტამენტს დაავალა მთავრობის ყველა განკარგულებათა გამოქვეყნება.

სინოდის დადგენილება

პეტროგრადი, 6 მარტი. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა მოისმინა 2 მარტის 1917 წლის აქტი მეფის ტახტიდან ჩამოსვლის შესახებ და აგრეთვე 3 მარტის 1917 წლის აქტი დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის უარის თქმა უმაღლეს მთავრობის უფლების შესახებ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელი კრებაც გამოარკვევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ეს წრაფეთ დაიმუშაოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, თქვენი თუ სხვისი, დასთესეთ საჩქაროდ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, ქართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენ თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

ჩარჩოს მართველობისას, ვბრძანებთ: ზემო აღნიშნული აქტები ყურად იღონ და აღასრულონ და განაცხადონ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიებში: ქალაქებში ამ აქტების მიღებისათანავე და სოფლებში კვირას ან უქმე დღეს წირვის შემდეგ შეავედრეთ ხანგრძლივობა ღვთის კალთის ქვეშ მყოფი მყრობელობა რუსეთისა და მისი კეთილმორწმუნე დროებითი მთავრობა, რის გამოც ამის აღსასრულებლად სასულიერო უწყებათა შორის და სამღვდელო პირთა შორის დაიგზავნოს ცირკულიარული ბრძანებანი.

ბეჭვდის სამართველოს გაუქმება

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ გააუქმა ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო.

მესტამბეთა მიმართ

პეტროგრადი. სათათბიროს წევრის გრონსკის თავმჯდომარეობით მომხდარმა კრებამ პეტროგრადელ რედაქტორებისამ და ჟურნალისტებისამ დაადგინა: რადგანაც ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო გაუქმდა, მესტამბეებმა ყოველი ნაბეჭდი გაზეთისა თუ წიგნის კანონიერი რიცხვი გზავნონ პეტროგრადის საზოგადო სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, ნევის პროსპექტი, სადოვის ქუჩის კუთხეში.

გერმანელების აზრი

ციურიხი. 5 მარტი. ჩრდილო გერმანეთის გაზეთები განიხილავენ რუსეთის რევოლუციას და ვერ ჰფარავენ თავიანთ უკმაყოფილებას, რომ ასე უცბად შესცვალეს რუსეთის ძველი რეჟიმი და დაამყარეს წესიერება. ყველა გაზეთები ერთს აზრს გამოსთქვამენ, მომხდარი ცვლილება იმ აზრის გამამტკიცებელია, რომ ომი ბოლომდის მიიყვანონ, მაგრამ იმედს გამოსთქვამენ. ამ შემთხვევაში რევოლუცია მეტად დაგვიანებულია ძველის შეცდომების გასასწორებლადაო. ამავე აზრს ავსტრიის და ჰუნგრეთის გაზეთები გამოსთქვამენ.

მოძრაობის ამბები

პეტროგრადი. პეტროგრადის ტელეგრაფის სააგენტოს მოსდის აუარებელი ცნობები, სხვა და სხვა ქალაქებიდან, რომლითაც იგინი აღფრთოვანებას და თანაგრძნობას უცხადებენ ახალს დროებითი მთავრობას. საყოველთაო მხიარულებაა ქ. ტაგანროგში, ჯარი და აფიცრები დროებითი მთავრობის მხარეზე გადმოვიდნენ. შესდგა საქალაქო მომწესრიგებელი კომიტეტი და მუშათა საბჭო. სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნაზაროვი აღტაცებით მიიღეს. სარატოვში შესდგა სამხედრო კომიტეტი, სწარმოებს მუშაობა წესიერების დასაცავად. გამოვიდა „მუშათა საბჭოს დეპუტატთა უწყება“—გაზეთის ნომერი.

ქ. ტულაში დაატუსაღეს ჟანდარმერიის და მაძიებელი პოლიციის უფროსნი.

ქ. ვორონეჟში დაატუსაღეს პოლიციელნი; აღძრულია კითხვა, რომ იგინი ფრონტზე იქმნენ გაგზავნილნი.

ქ. ტამბოვში შემოიღეს სახალხო მილიცია. გლეხნი თანაგრძნობით ეგებებიან რევოლიუციას.

ქ. ეკატერინბურგში და ურალის ქარხნებში, ახალი მთავრობა აღტაცებით მიიღეს.

ქ. სამარაში სამოქალაქო და სამხედრო უფროსები დაემორჩილნენ ახალ დროებითი მთავრობას. ჯარი და ხალხი ერთსულოვნად მოქმედებენ.

ქ. პეტროზავოდსკში—მეფის ტახტიდან გადადგომის აქტს, ხალხი აღტაცებულის მანიფესტაციით მიეგება; ამნაირივე აღტაცება გამოიწვია ქ. ადესაში, სადაც სუფევს მხიარულება და სრული წესიერება. შავრაზმელთა მეთაურნი დაატუსაღეს და ქალაქიდან განდევნეს.

ახალი სენატორების დანიშვნა

პეტროგრადი. ახლო მომავალში, თანახმად ახალ კანონისა სენატის შესახებ, სენატის ყველა დეპარტამენტის განყოფილებაში დაინიშნება ახალი სენატორები.

დამხობილი მინისტრთა საბჭოს საქმეების გამგე ლოდიჟენსკი გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან და მის თანამდებობაზე დროებით დაინიშნა სახელმწიფო სათათბიროს კანცელიარიის უფროსი გლინკა.

გენ. სანდეცკის დაპატიმრება

ყაზანი. დროებითი მთავრობის განკარგულებით დაატუსაღეს ჯარის უფროსად ნამყოფი გენერალი სანდეცკი, მაგრამ ავადმყოფობისა გამო სახლშივე დასტოვეს.

კლემანსოს აზრი

პარიზი, 5 მარტი. კლემანსო თავის გაზეთში სწერს: რუსის ხალხის გასაოცარმა ერთობამ, ჰპოვა ერთსულოვნობა მთელი ნაციისა. რას იტყვის ამის შესახებ გერმანეთის იმპერატორი. ის აგიტაციას ეწეოდა რუსეთში საფრანგეთის და ინგლისის წინააღმდეგ და აღმოჩნდა პირის-პირ მძლავრად შეერთებულ ხალხთან, განურჩევლად იმპერატორობითი საგვარეულობისა, რომელმაც სამშობლოს საქეთილდღეოდ უარ ჰყო თავისი უფლებები.

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი, 5 მარტი. კვირის პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, ერთხმად, თანაგრძნობით ეგებებიან რუსეთის რევოლიუციას, რომელსაც მოაქვს ქვეყნისათვის ალორძინება. ლორდ ნორდკლიფის გაზეთი, რუსეთის რევოლიუციაზე, როგორც მომხდარ სასწაულზე, რომელზედაც ფიქრიც კი, რუსის ხალხს ჟრუანტელსა ჰგვრიდაო, ამბობს: ჩვენ არ უნდა მივეცეთ ოცნებას, რომ საქმე მთლად გათავებულია და რუსის რეაქციონერები სავსებით გასრესილია, მაგრამ სინამდვილე იმას გვიკარნახებს, რომ გამარჯვება მაინც განახლებულ რუსეთს დარჩება. სამხედრო ძალა რუსეთისა გაძლიერდა. ძველი ყაჩაღთა ბრბო განდევნილია, „პრუსეთის“ სასამართლო აღაგმულია. ჩვენ უნდა ვინატროთ, რომ ეს სასწაული რუსეთის განახლებისა რაც შეიძლება ხანგრძლივი იყოს და გაიდგას ღრმა ფესვები.

მუშების შრომის ფასი

პეტროგრადი, 5 მარტი. დროებითმა მთავრობამ, ვაჭრობის მინისტრის კონოვალოვის წინადადებით, დაადგინა: სახელმწიფო ქარხნების ყველა მუშებს მიეცეს ჯამაგირები იმ დღეებისა, როდესაც, ხალხი მოძრაობის გამო, არ მუშაობდნენ. მინისტრმა აუწყა მთავრობას, რომ იგი შუამდგომლობს თანახმად პეტროგრადის ქარხანა-ფაბრიკების საზოგადოებების დადგენილებისაო.

ფინლიანდიის საქმე

დროებითი მთავრობის კომისსარების თანაშემწეებმა, ფინლიანდიის საქმეებისა, აცნობეს სტას-სეკრეტარიატის მოსამსახურეებს, რომ დროებითი კომისარების, მათი თანაშემწეების და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშნულ იქნებიან იმპერიის მცხოვრებთაგან დროებით, რომელნიც საჩქაროდ იქნებიან შეცვლილნი მკვიდრ მცხოვრებ ფინლიანდელებით. ახლო მომავალში განხილულ იქნება მანიფესტი, რომელიც დაადასტურებს ფინლიანდიის თავისუფლებას.

დროებით მთავრობას მოლაპარაკება აქვს სახელმწიფო საბჭოს წევრთან ბარონ როზენთან, რათა მან იკისროს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა.

შულგინის სიტყვა

კიევი, 4 მარტი. „კიევლიანინში“ სახელმწიფო სათათბიროს წევრი შულგინი სწერს: „გონება უარჰყოფს მთლად შეიმცნოს მომხდარ ამბების მნიშვნელობა. რაღაცა ზღაპრული, დაუჯერებელი რამ მოხდა. 24 საათის განმავლობაში ორმა მეფემ უარი სთქვა ტახტზე ასვლაზე. რომანოვთა დინასტია, რომელიც 300 წლის განმავლობაში რუსეთის სამეფოს განაგებდა, დღეს ხელს იღებს თავის უფლებაზე. რაღაცა ბედის კარნახის გამოისად ამ საგვარეულოს პირველი და უკანასკნელი მეფე ერთსა და იმავე სახელს ატარებენ. რაღაცა ღრმა, მისტიური რამ იმალება ამ მომხდარ ამბებში. სამასი წლის წინად მიხეილი, რუსეთის პირველი მეფე, ავიდა ტახტზე სწორედ იმ დროს, როდესაც აღრეული რუსეთი კვნესით გაიძახოდა: „საჭიროა მეფე!“ მიხეილს კი, უკანასკნელს მეფეს, სამასი წლის შემდეგ ესმის, თუ გაწამებული რუსეთის ერი როგორ იძახის მრისხანე ხმით: „აღარ გვსურს მეფე!“ და აი, ორივე მეფე წავიდა, წავიდა და ანდერძად დაუტოვა ხალხს: დაემორჩილეთ დროებით მთავრობას, რომელიც ჩვენს მაგიერობას გაგიწევთო. მეფენი წავიდნენ. . მაგრამ რა ჰხდება ჩვენს თავს? რა ელის რუსეთს? როგორი მმართველობა შემოვა? ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე. ბედის მძიმე წერაქვი მოითხოვს რუსეთის სახელმწიფო მმართველობას მკაცრი ანგარიში გაეწიოს. დაე ეს ანგარიში მოხდეს დამფუძნებელი კრების დროსა, დღეს კი ყველანი ერთხმად დავემორჩილოთ დროებით მთავრობას, რომელიც შესდგა სახელმწიფო სათათბიროს გულიდან. სხვა გასაქანი აღარ არის. მტერი რუსეთს კარს ადგია. უკეთუ არ დავემორჩილებით ახალს მთავრობას, არ განვუცხადებთ სრულს ნდობას, მაშინ სამშობლოს ჩვენსას ვერ დავიხსნით განსაცდელისაგან. დაე, ყველა მომხდარი ამბავი იყოს არაჩვეულებრივი, დაე, იყოს ეს უცნაური, დაუჯერებელი რამ,—მაგრამ ახლა დრო არ არის გაკვირვებისა, დრო არ არის მხრები ავიჩეჩოთ, როდესაც უდიდესი ქვეყანა, სამშობლო ჩვენ უფსკრულის წინაშე წარმდგარა. თუ იმდენს მამაცობას გამოვიჩენთ, რომ ერთსულოვნად წავალთ და მხარს დავუჭერთ თავრიდის სასახლიდან გამოსულს ერთს მუჭა ხალხს, რომელმაც იკისრა ტვირთი სამშობლო მოვალეობისა, მაშინ არა თუ ვიხსნით ჩვენს ქვეყანას დაღუპვისაგან, არამედ მტერზედაც გავიმარჯვებთ. არა დაკარგულარა, არა დანგრეულარა ყველა იმიდან, რაც საჭიროა ომისათვის. პირიქით, ჩვენ შევიძინეთ ის, რაც ომამდე გვაკლდა, რუსეთის სათავეში ჩადგნენ მისი მოსიყვარულე ადამიანები.

დაწვრილებითი ცნობები მეფის დატუსაღებისა

„უტრო როსსიი“-ის თანამშრომელი მისულა „სტარაია რუს“-ის სადგურზე, სადაც შეუჩერებიათ მეფის მატარებელი. წინ მიდიოდა მატარებელი მეფის ამალით, რკინის გზის პოლკის გენერალ ცაბელის მეთაურობით; მას უკან მისდევდა მეფის მატარებელი. მეფე მთავარ ბანაკიდან ცარსკოე სელოში დედოფალს დაებარებინა. მეფისთვის არ გაემჟღავნებინათ როძიანკოს არც ერთი დეპეშა. აგრეთვე არ მოეხსენებინათ მისთვის სარდლების დეპეშები, გარდა გენ. ალექსეევის დეპეშისა. მეფეს გვერდით ახლდა მხოლოდ ფრედერიკსი, ამირბარი ნილოვი და სასახლის კომენდანტი ვოეიკოვი. მეფის თანამგზავრებს ბრმად გადაეკრათ და მეფეს თავგამოდებით ათათბირებდნენ. ვოეიკოვი და ნილოვი ჰშიშობდნენ, მეფემ სიმართლე არ შეიტყოსო, მაგრამ ცაბელმა განაცხადა: თუ თქვენ მეფეს ყველაფერს არ გაუმჟღავნებთ, ძალით გადაგაყენებთ და მეფეს ყოველისფერს ვუამბობო. ვოეიკოვი დაჰპირდა, მთელი საქმის ვითარებას მეფეს მოვახსენებო. მეფეს ეძინა. მას აცნობეს, პეტროგრადში რევოლუციონერებს, სტუდენტებს და ხულიგანებს ახალგაზდა ჯარისკაცნი აუჯანყებიათ, დეპუტატებისათვის შიშისზარი დაუციათ და ხელში დაუჭერიათ; ოთხი როტა კმარა მათ გასაფანტადაო. ამ დროს ვოეიკოვს მოუხსენებია: დეპეშა მოვიდა, მოგილევიდან მატარებლით მოდის 700 გიორგის ჯვრის კავალერი გენ. ივანოვის მეთაურობითაო. ისინი კმარა, რათა მეფე ცარსკოე სელოში მიბრძანდესო. იქ ერთგულ ჯარს ჩაუდგება სათავეში და პეტროგრადისკენ გაილაშქრებსო. ამ დროს შესულა ცაბელი და უთქვამს: „სიცრუეა, მეფევ! გატყუებენ. ნიკოლოზის სადგურის კომენდანტ პორუჩიკ გრეკოვისაგან დეპეშა მოვიდა, რომლითაც ნაბრძანებია თქვენი მატარებლის დატუსაღება“. ცაბელმა უამბო მეფეს, რაც მოხდა და განუცხადა: ადგილიდან დაძვრა აღარ შეიძლება, რადგანაც გზებს განაგებს სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბუბლიკოვიო. მეფემ მრისხანედ წამოიძახა: „რატომ აქამდე არ მითხარით ეს? რად მეუბნებით მაშინ, როდესაც ყველაფერი გათავებულია“? მაგრამ მალე უიმედოდ დაუმატა: „მადლობა ღმერთს! თუ ხალხი ტახტიდან ჩემს გადადგომას მოითხოვს, ლივადიაში წავალ, მიყვარს ბაღი და ყვავილებიო. ცაბელი სახტად დარჩა. ვოეიკოვმა უბრძანა მეფე გაემგზავრებინათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზეთის წამსმელებს ლოკომოტივი გაეფუჭებინათ. მაშინ კონვოის ზედამხედველობით ამალის ლოკომოტივი მოუბეს და მეფის მატარებელი ბოლოგოესკენ გაემართა, რათა ცარსკოე სელოში მისულიყო, მაგრამ გზაში ცნობა მოვიდა, რომ ცარსკოე სელოს გარნიზონი ხალხს მიემხრო და დედოფალმა სთხოვა როძიანკოს დამფარეო. მეფე დაფიქრდა, მერე შეკითხვით სთქვა: წავიდე მოსკოვში? მოროზკი მეუბნებოდა, რომ მოსკოვი ყოველთვის მე მომემხრობაო“. ამ დროს დეპეშა მოვიდა, მოროზკი დაატყვევესო. მეფის მატარებელი ეცადა ხან წინ წასულიყო, ხან ისევ უკან იხევდა, რათა სადმე გაეღწია. შეხვდა ივანოვის მატარებელს. ივანოვმა მოახსენა რომ ერთად ერთი ხსნა ჯარში დაბრუნებააო ვოეიკოვმა უთხრა: ერთი დაგვრჩენია, გერმანელებს გაუხსნათ მინსკის ფრონტი და დაე გერმანელებმა დაამშვიდონ ის არამზადებიო. ნილოვი თუმცა ძალიან მთვრალი იყო, მაგრამ ეს სიტყვები არ ეჭაშნიკა. მეფემ უთხრა: ამაზე ბევრს მელაპარაკებოდა გრიგორი ეფიმის ძე (რასპუტინიო), მაგრამ ჩვენ მას არ ვუგონებდით. ეს მაშინ შეგვეძლო მოგვეხერხებინა, როცა გერმანეთის ჯარი ვარშავასთან იდგა, მაგრამ მე არაოდეს არ ვუღალატებდი რუსის ერსაო. მეფემ იტირა და სთქვა: ნეტა ამ გლეხებმა ცოლშვილი არ ამომიწყვიტონ და წავიდოდი ლივადიაში და იქ ჩემთვის უკანასკნელ დღეებს დავლევდიო. დაე მიხაილმა მართოს, როგორც შეუძლიან, მართლაც ის უყვართ“. შემდეგ დაუმატა: ტახტზე უარს გამოვაცხადებ და ჯარში, წავალ ჯარისკაცებს გამოვეთხოვები, შემდეგ რაც ჰსურდეთ, ის გააკეთონ, არავის ხელს არ შევუშლიო. კორესპოდენტს უნახავს ნიკოლოზი სადგურის ბაქანზე. იგი გაყვითლებულიყო, ტანთ ჯარისკაცის შინელი ეცვა. მეფის მახლობლად ნილოვი იდგა ძალზე მთვრალი, ბარბაცებდა და რაღაცას მღეროდა.

ომის დეპეშები

7 მარტი

მთავარ ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავ რაზმების მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზი. ქ. ვანის სამხრეთით ოსმალები გავდევნეთ; მათ პენჯვის მიმართულებით დაიხიეს. ქერმანშაჰის მიმართულებით, ოსმალების დევნის დროს, ავიღეთ ყარუნბანდი, ქერმანშაჰის სამხრეთ-დასავლეთით 30 ვერსზე.

ინგლისი

ლონდონი. ოფიც. ცნობა. მტრის მფრინავი გემები სამხრეთ-აღმოსავლეთის საგრაფოს თავს დაესხნენ და კენტს ყუმბარები დაუშინეს. თავდასხმა გრძელდება.

ლონდონი. ოფიც. ცნობა ინგლისის მთავარბანაკისა საფრანგეთში. გუშინ ძლიერი ბრძოლა იყო ჰაერში. ჩვენმა მფრინავებმა მტრის მრავალი მზვერავი საფრენები გაჰფანტეს, 7 გაანადგურეს, 9 ძლიერ დააზიანეს. ჩვენ 8 საფრენი დაგვაკლდა.

ლონდონი. ოფიც. ცნობა საფრანგეთში მომქმედ მთავარბანაკისა. ჩვენ ავიღეთ ნელი, შინი და პერონი. მტრის უკანა ჯარს ვაწვებით და 16 ვერსით წინ წავიწიეთ 72 ვერსის ხაზზე არასიდან დაწყებული. გუშინწინღამ მტრის გრენადერთა ორი რაზმი მოუახლოვდა ვერმელის მიდამოების ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სანგრებს.

ლონდონი. მესოპოტამიაში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ოფიც. ცნობა. 1 მარტს ოსმალების უკანამავალი ჯარი გავდევნეთ მუშაიდეს მოდარაჯე ბორცვებიდან. 2 მარტს განთიადისას და დილით ოსმალთა 3 დივიზიის გადარჩენილი ნაწილი სამარრის მიმართულებით მიემართებოდა და 3 მარტს დილით მტრის უკანამავალი ჯარი 40 ვერსის მანძილზე იყო 1 მარტს მომხდარ ბრძოლის ადგილიდან.

იტალია

რომი. 5 მარტი. ოფიციალი. გუშინ ძლიერი არტილერიის მზადების შემდეგ მოწინააღმდეგემ იერიშით უკუაგდო ჩვენი ჯარი, მაგრამ საწინააღმდეგო იერიშით უკანვე დავახევინეთ. 4 მარტს მოწინააღმდეგემ ძლიერის არტილერიით დაანგრია სიმაგრენი, რომელიც 19 თებერვალს ჩვენ წავართვით პოლეტრინოს მიდამოებში და მისი ზევითი ნაწილი დაიჭირა. იულიის ალპებში ბრძოლა გაცხოველდა.

გემების დაღუპვა

ლონდონი. გერმანელების წყალქვეშამ დაჰლუპა ამერიკელების გემები „ვიჯილან“-ი, „სიტი ილინოის“-ი და „სიტი-ოფ-მემფის“-ი. „სიტი ილინოის“-იდან ნაპირზე გადასხეს 15 მეზღვაური და გემის უფროსი. დანარჩენთა საძებრად მოდარაჯე ნავი გაიგზავნა.

რუსეთი

სევასტოპოლი. ოსმალთა იალქნიანი გემების ქარავანმა სცადა სტამბოლისაკენ სამხედრო სურსათი გაეპარებინათ, მაგრამ ჩვენი გემები მიუახლოვდნენ, მეზღვაურები დაატყვევეს და შხუნები დაღუპეს.

დანია

კოპენჰაგენი. 1 მარტს კილში სამხედრო ქარხანა აფეთქდა. რამდენიმე ასი მუშა დაიღუპა.

ბრემენსა და ჰანოვერში სოციალ დემოკრატ რადიკალთა ჯგუფი არსდება. ეს მესამე ჯგუფია გერმანელ სოციალდემოკრატიისა.

რომი. 5 მარტი. იტალიის ოფიციალი ცნობა. ალიჯის ველის რაიონში გუშინ მთელის დღის განმავლობაში ორივე მხრის არტილერია თავგამოდებით იბრძოდა. რკ. გზის სადგურ კულიანოს და ლაგერნის მიდამოებში მყოფ მოწინააღმდეგის ჯარს ზარბაზნები დავუშინეთ, გავდევნეთ მოწინააღმდეგის რაზმი სარაკალესთან, ლაგორინას მიდამოებში, ზიფის გრეხილიდან და სხვა ახლო-მახლო მიდამოებიდან.

უკანასკნელი ცნობები

პურიშკევიჩი ფრონტიდან დაბრუნდა და განაცხადა: ეს ამბები უსისხლოდ გაივლისო. როდესაც ჯარმა გაიგო, რომ შტიურმერი და პროტოპოპოვი დატყვევებულნი არიანო, დიდი აღტაცება გამოიწვია. თუმცა მოკავშირეთა შორის შეთანხმება არის სეპარატიული ზავი არ ჩამოაგდონ, მაგრამ რუსეთის შესახებ ნათქვამია, რომ ამ შეთანხმებას ძალა არა აქვს, უკეთუ რუსეთში დიდი აჯანყება და უწესოება მოხდაო. ამიტომ იყო, რომ პროტოპოპოვები და ძმანი მათნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ რუსეთში არეულობა გამოეწვიათ.

—

მოსკოვში ძველი მთავრობის მომხრენი, ბობოლა მოხელენი დააპატიმრეს.

—

ახალ მთავრობას ყველა ქალაქებში ემხრობა ჯარი. იმართება დიდი მანიფესტაციები, პოლიცია გადააყენეს. წესიერებას იცავენ ადგილობრივ არჩეული კომიტეტები.

—

კერენსკი დობროვოლსკთან მისულა. დობროვოლსკი მჯდარა: კერენსკის უბრძანებია: თქვენ გელაპარაკებათ დეპუტატი, ფეხზე წამოდექით. დობროვოლსკი უმალ წამომდგარა.

—

მოსკოვის „ოხრანა“ იწვის. დაანგრიეს მაძიებელ პოლიციის სადგომი.

—

დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ საკუთარი მატარებელი მოითხოვა გაჩინიდან პეტროგრადში წასასვლელად, მაგრამ მუშათა საბჭოს უთქვამს: თქვენ, როგორც მოქალაქეს, შეგიძლიანთ მატარებლის ბილეთი აიღოთ და წაბრძანდეთო.

—

ალექსანდრე მესამის ძეგლზე და საზამთრო სასახლეზე უშველებელი წითელი ბაირაღები ფრიალებს.

—

გრუზინოვმა მოსკოვის საჟანდარმო დივიზიონს განუცხადა, რომ ჟანდარმებს ფრონტზე გზავნის და თვითეულ მათგანს წმ. გიორგის ჯვარს უსურვებს.

—

ცნობილმა პროვოკატორმა ზუბატოვმა თავი მოიკლა. უკანასკნელი დროის ამბებმა დიდად აალელვეს ის.

—

კოსტრომაში დაჭერილია გუბერნატორი; ომსკში გენერალ-გუბერნატორი სუხომლინოვი, გუბერნატორი კოლობოვი, სასამართლო პალატის თავმჯდომარე ედლიჩკა და პროკურორი ვისკოვატინ. სმოლენსკში საპიორებმა დაატყვევეს მინსკის სამხედრო ოლქის უფროსი ბარონი რაუშ ფონ ტრაუბენბერგი, შტაბის უფროსი გენერალი მორიცი, ადიუტანტი მილლერი და ქალაქის კომენდანტი დამტენი. რიაზანში დატყვევებულია გუბერნატორი კისელ-ზაგორიანსკი და გარნიზონის უფროსი გენერალი ხვოსტოვი. სარატოვში დატყვევებულია გუბერნატორი, ვიცე გუბერნატორი და 250 პოლიციელი. ყაზანში ჯარის უფროსი გენ. სანდეცკი მოძრაობას მიემხრო. ვლადიმირში დატყვევებულია გუბერნატორი კრიტონი, ვიცე-გუბერნატორი მიასოედოვი და მთელი პოლიცია. ხარკოვში გუბერნატორი, გარნიზონის უფროსი და ცნობილი ჯაშუში გრეგუსი. ტულაში დატყვევებულია გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და გარნიზონის უფროსი გენერალი ბანდროვსკი. უკანასკნელმა შეჰფიცა ახალს წესწყობილებას და თავისუფლებას. რეველში ციხის კომენდანტი მოჰკლეს.

„მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებამ“ ლოზუნგი წამოაყენა: „ძირს ომიო!“ ერობის და ქალაქის კავშირის შეერთებულ სხდომაზე ეს ლოზუნგი განიხილეს. კიზევეტტერმა და კოტლიარევსკიმ ენერგიული პროტესტი განაცხადეს უდროვო ზავის წინააღმდეგ, კავშირების მოსამსახურეების წარმომადგენელნი კი პირ-იქით მუშათა დეპუტატების ლოზუნგს მიემხრნენ.

—

კერენსკის განკარგულებით „ოხრანას“ არხივი გამოსაძიებლად ბურცევს გადაეცემა.

—

გენერალმა ივანოვმა პეტროგრადზე გაილაშქრა, მაგრამ რკინის გზის მოხელეებმა ვირიცის იქით არ გაუშვეს.

—

მილიუკოვმა რადიოტელეგრამით მთელს ქვეყანას აუწყა რუსეთში ახალი მთავრობის დამყარება.

—

მოსკოვის მილიციამ 3 მარტს დაიჭირა მრავალი ტუსაღი, რომელნიც კატორღიდან გამოქცეულიყვნენ. სულ ორი ათასი ტუსაღია გამოქცეული. აქედან 300 კაცია დაჭერილი. „უნიონში“ და ნიკიტინის ბულვარზე პროვოკატორებმა სროლა აუტეხეს ჯარებს. ერთი ჯარისკაცი მოკლულია. მალე მთელი რაიონი დაჭერილ იქმნა. პროვოკატორთა ერთი ნაწილი გაიქცა.

—

მოსკოვის თითო ცალი გაზეთი 10,000 მანეთად იყიდებოდა.

ახალი ამბავი

◆ **ბ-ნი პასტრულინი.** თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამართველოს უფროსი, რომელიც ამ დღეებში დაატუსაღეს, მეტეხის ციხეში იმყოფება.

◆ **რუსეთის მხედრობათა** მთავარ სარდლად დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, პეტროგრადს წავიდა გუშინ, 7 მარტს დილის 10 საათზე. მას თან გაჰყვნენ ძმა მისი პეტრე ნიკოლოზის ძე, გენერალი იანუშკევიჩი, ვოლსკი, ორლოვი და ისტომინი. ვაგზალში სამღვდელოება გამოემშვიდობა და ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი.

◆ **საქალაქო პოლიციის ხელმძღვანელად** მუშა ჰაიბრიშვილის არჩევა მართალი არ გამოდგა. გუშინდლამდე პოლიციის უფროსად ისევ გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი იყო. როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის ჯგუფებს გადაწყვეტილი აქვთ ქალაქში წესრიგის დასაცველად საქალაქო მილიცია შეადგინონ და ამ მილიციის უფროსად დანიშნონ რუსი ოფიცერი.

◆ **შემოწირულებანი.** საორგანიზაციო მუშაობისთვის გაახლებთ ჩემს წვლილს 10 მანეთს, გრიგოლ ჩარკვიანი. საორგანიზაციო მუშაობისთვის გაახლებთ ჩემს წვლილს 3 მანეთს. რ. ყ—შვილი.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოებას კრება ექნება ხვალ, 9 მარტს, საღამოს 8 საათზე. კრებამ უნდა გამოარკვიოს სოფლის საჭიროებანი მიმდინარე ხანაში.

◆ **არტაანის თავშესაფარში საჩქაროდ არის საჭირო თავშესაფარის** გამგე, რომელსაც ექნება თვეში ათი თუმანი და ბინა განათება-გათბობით. მსურველმა უნდა მიჰმართოს შემდეგის მისამართით: Ардаганъ, лѣсничему Георгію Николаевичу Синауридзе.

◆ **ერევნის სავაჭრო სკოლისთვის** საჭიროა მასწავლებელი-კაცი უმაღლესი კომერციული განათლებით. მსურველთ სთხოვენ მიჰმართონ სკოლის ინსპექტორს ნ. გ. ზირახოვს.

◆ **გაჩხრეკა.** გუშინ, 5 მარტს, გაჩხრიკეს მეფის ნაცვლის კანცელიარიის საგანგებო განყოფილება, რომელშიაც პოლიტიკური საქმეებია მოთავსებული.

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს** ჯერ კიდევ არ მიუღია საქმეები გუბერნატორად ნამყოფ მანდრიკასაგან, რომელიც წინად განაგებდა ამ საქმეებს. სასურსათო საქმეებს დროებით ისევ მთავარ რწმუნებულად დარჩენილმა ბ-ნმა შაშკოვსკიმ უთხრა კომიტეტის წევრებს, რომ რაც რამ სურსათი მოიპოვება თბილისში ან ამ დღეებში მოვა, ის მაინც თქვენ უნდა გაანაწილოთო.

◆ **ამიერ კავკასიის ბანკის** გამგეობა 6 მარტიდან შეუდგა მუშაობას. გამგეობა ჯერ-ჯერობით იბარებს ბანკის ქონებას საორგანიზაციო კომიტეტისაგან. ოპერაცია ბანკისა დაიწყება აქციების დანარჩენ 50 პროცენტის შემოტანის შემდეგ.

სადღეისო

დაშლას მოვესწარ, დაშლასა
ცუდად ანაგებ კოხისას;
გაშლას მოვესწარ, გაშლასა
გამტვრიანებულ დროშისას;
წასვლას მოვესწარ, წასვლასა
ძალით გადმოსულ თოშისას!

მთიული.

◆ **ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში** წევრებად შესვლის სურვილს მრავალი დაწესებულება და ორგანიზაცია აცხადებს. გუშინ, 7 მარტს, საღამოს 5—6 ს. კრება იყო დანიშნული გიდრო-ტეხნიკურ გამგეობისა, ქალაქთა კავშირისა, ერობათა კავშირისა, ზემგორისა, წითელი ჯვრისა დ სხ. წარმომადგენლებისა, რომელთაც განცხადების ტექსტი უნდა შეემუშავებიათ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში წარსადგენად, შესახებ იმისა, რომ კომიტეტში მათი რწმუნებულებიც იქმნენ მიღებულნი.

◆ **თბილისის კომისრებად** დროებით აღმასრულებელმა მთავრობამ დანიშნა სკობელევი და როძიანკო მეორე, რომელნიც ამ დღეებში თბილისში ჩამოვლენ.

◆ **თბილისის პოლიცმეისტერი** ზდანოვსკი დაინიშნა ოსმალეთში რუსებისაგან აღებულ ერთ-ერთ ოლქის უფროსად.

მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებში ნაიმპერატორალ ნიკოლოზ მეორის სურათი ყველგან ჩამოხსნეს.

◆ **სახალხო მასწავლებელთა დადგენილება.** კვირას, 5 მარტს, მცხეთაში მოხდა სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების დუშეთის რაიონის ფილიალ განყოფილების კრება, რომელმაც დაადგინა: 1. გადაყენებულ იქმნან ძველი ადმინისტრატორები (დირექტორები, ინსპექტორები და სხ.) და მათ ადგილას მასწავლებელთა საზოგადოებამ დანიშნოს ღირსეული კაცები, 2) დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია სკოლებისა, 3) დაუყონებლივ მოეწყოს მოძრავი სკოლები იმ სოფლებისათვის, საცა სკოლები არ არსებობს და მათი მოწყობა დროებით არ შეიძლება, 4) დაარსდეს სამასწავლებლო სემინარიები ღირსეულ სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად, 5) განთავისუფლებულ იქმნან სამხედრო ბეგრისაგან სახალხო მასწავლებლები და თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ, ვინაიდან სახალხო სკოლა საუკეთესო იარაღია ზურგის გასამაგრებლად და სხ. ამ მოთხოვნილების გაგზავნა დროებით მთავრობისათვის დაევალა კრების თავმჯდომარეს ვარ. ბურჯანაძეს.

◆ **სამოქალაქო საქმეთა** კავკასიაში დროებით მართველად რჩება ვ. ვ. ალიშევსკი.

◆ **როგორც ამბობენ,** დროებითი მთავრობა ჩქარა გამოაქვეყნებს წესრიგს კავკასიის მართვა-გამგეობის შესახებ.

◆ **მოწოდება ჯარებისა და ფლოტისადმი.** რუსეთის მხედრობათა მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, ჯარებისა და ფლოტისადმი მოწოდება გამოსცა, რომელიაც აცხადებს, რომ უფლება გადავიდა ახალი მთავრობის ხელში და ჩემგან აიღეთ მაგალითი და დაემორჩილეთ მას ყველაფერში, წესრიგი არ დაარღვიოთ და მტრის გული არ გაახაროთ.

◆ **გ. ქუჩიშვილის** სალიტერატურო დილა, რომელიც უნდა შემდგარიყო კვირას, 5 მარტს, ეხლანდელ ამბების გამო გადაიდო სხვა დროისათვის, რაც თავის დროზე გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ბილეთებს ძალა არ ეკარგებათ.

◆ **საბურთალოს კომიტეტი.** ხუთ მარტს, საღამოს 7 საათზე, საბურთალოს მცხოვრებთ საგანგებო კრება ჰქონდათ. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ი. ლაფაჩიძე. კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი, რომლის მოვალეობას შეადგენს ადგილობრივი მცხოვრებნი დაიცვას ყოველგვარ მოულოდნელ არასასურველ მოვლენისაგან. კომიტეტში შედიან: ი. ლაფაჩიძე, მ. ლებანიძე, გ. კახიანი, ნ. მახვილაძე, გ. მაისურაძე, პ. კვირიკაშვილი და ბ-ნი გოგლიძე. კანდიდატებად აირჩიეს: პ. ხეთაგიშვილი, მ. მამულაიშვილი, პ. პოზოიანცი და პ. ლეზინი. იმავე დღეს კომიტეტმა აირჩია: თავმჯდომარედ პ. კვირიკაშვილი და მდივნად ნ. მახვილაძე. ცენტრალ კომიტეტში დელეგატად გასაგზავნად არჩეულ იქმნა ი. ლაფაჩიძე. დღეს 8 მარტს, საღამოს 6 საათზე, ლებანიძის სახლში დანიშნულია საგანგებო კრება მთელი საბურთალოს მცხოვრებლებისა.

◆ **თბილისის პოლიცმეისტერმა** განკარგულება გასცა: 1) გაუქმებულ იქნეს პოლიციელთა სადარაჯოები, 2) ჩამოერთვათ პოლიციელ დარაჯთ იარაღი და 3) ყველა პოლიციის საუბნო მმართველობაში წესრიგის დასაცველათ ჩაყენებულ იქნან ექვს-ექვსი იუნკერი მესამე პრაპორჩიკების შკოლიდან, ეს იუნკრები იმოქმედებენ ბოქაულების ხელმძღვანელობით.

ფოთი.

კილურაძის და კეკელიძის ხეტყის ქარხანა და საფაბრიკო ინსპექტორმა დახურა რაღაცა გამოურკვეველი მიზეზის გამო. ეს ამზადებდა სამხედრო უწყების მიერ დაკვეთილ „შპალებს“ მომავალ ტრაპიზონის რკინის გზისათვის.

— პალიასტომში ძალიან იკლო თევზის ჭერამ. ამ წარმოებაში მუშაობდს 60 კაც. სხვა მუშებთან შედარებით ფოთში აქაური მუშები კარგს პირობებში მუშაობენ. ხელფასსაც კარგს იღებენ. საუბედუროთ გონებრივათ ძალიან ჩამორჩენილნი არიან. ჟურნალ-გაზეთებს სულ არ ეკარებიან.

— ეგრედ წოდებული არჯევანოვის პური აქ ფასობს გირვანქა 8 კაპ. ქადის ფქვილი ფუთი 5 მან. ყველი ადგილობრივი 70 კაპ. შაქარი გირ. კოოპერატივში 31 კაპ.

თელავი.

არსებულ მთავრობის უარყოფამ და სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის დაარსებამ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხში; ყველა დიდის ხალისით კითხულობს გაზეთებს და სიხარულით ეგებება ამ მოულოდნელ ცვლილებას.

— ციხიდან გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური ტუსაღები.

— სოფ. ქისტაურის ბოლოზე, შეტაკება მოუხდათ ჩაფრებსა და ქისტყაჩაღებს, სადაც 6 ყაჩაღი მოჰკლეს, ხოლო 1 დაიჭირეს, ჩაფრების მხრივ მსხვერპლი არ ყოფილა.

— რადგანაც ფქვილი აღარსად იშოვება, აქაურ კაზარმიდან დაუთმეს რამდენიმე ტომარა ფქვილი ხაბაზებს.

სამუდამო საფიქრებელი

სიდიადეს დღევანდელ მომენტისას ყველანი აღვიარებთ, მაგრამ საფიქრებელია შედეგები.

ერთს წუთს არც ერთმა ქართველმა არ უნდა დაივიწყოს, ვინც უნდა იყვეს იგი თავისი მდგომარეობით, რომ მის ერს თავისი განსაკუთრებული საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აქვს. **უპირველესი და მუდამ საფიქრებელი საკითხი სასურსათო და თავის შენახვის საკითხია.** თუ ეს რიგზე არ იქნა მოწყობილი, ყოველივე უკუღმა წავა. მინამ რუსეთს შეუერთდებოდა ჩვენი ერი, მისი მეურნეობა საკმაოდ განვითარებული და დამოუკიდებელი იყო. დღეს ჩვენი მეურნეობა იმდენად დაეცა, რომ თითქმის სანახევროდ ჩვენი ერი რუსეთიდან შემოტანილი პურით იკვებება. **დღეს თვით რუსეთს პური ნაკლებადაა აქვს.** ამ გარემოებამ **დასცა ძველი მთავრობა.** ნაკლებობა კიდევ უფრო მწვავდება **უგზოობით და სანოვაგის გადატან-გადმოტანის საკითხით.** ახლო-მომავალში ჩვენ არ შეგვიძლიან ველოდოთ რეგულიარათ პურის მიღებას რუსეთიდან ზემო აღნიშნული მიზეზების გამო (უქონლობა და უგზოობა). ის კი არა, უნდა ველოდეთ საშინელ კრიზისს, რადგან რუსეთში ძველი პური ცოტაა, ახალი დათესილიც ცოტაა და თავისთვისაც ვერ ეყოფათ. ამიტომ თავი ჩვენს ანაბარად უნდა ვიგულისხმოთ და ჩვენშივე უნდა შევქმნათ საკმაო სანოვაგე და სურსათი. ეს, **რასაკვირველია, უპირველესი საკითხია არა თუ ყოველივე ძლიერებისა, არამედ თვით არსებობისაც.** ამიტომ მოვუწოდებთ ყოველს ქართველს განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ორთავე სქესს და ნამეტნავად ქალებს, იზრუნონ ყველამ შექმნან საკმაო სანოვაგე და სურსათი თავისი ოჯახის სრულიად დასაკმაყოფილებლად ერთის წლით მაინც. ამიტომ, ყველა უნდა ჩაებას შრომის ფერხულში და თავგანწირვა გამოიჩინოს, რომ მოიყვანოს პური, ქერი, სიმინდი, ქართობილი და ბოსტნეულობა. ნამეტნავად საჩქაროდ, უკვე გაზაფხული დადგა და დაგვიანება აღარ შეიძლება. ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია განუმარტოს ყველას, ვისაც კი ხელი მიუწვდება, დაეწაფონ მუშაობას. ვს რათ გინდათ ფული, თუ პური არ გექნებათ. **ამიტომ ნურავინ დაზოგავს ფულს, რადგან მოსავალი ეხლა უფრო სასარგებლო და საჭიროა.** მდიდრებმა უნდა შეიგნონ ეს და ყოველს ხელმოკლეს ხელი შეუწყონ, რომ თავისი ენერგია და შრომის უნარი გამოუსადეგრად არ დარჩეს. ყველამ უნდა მოახერხონ როგორმე შეერთებულის ძალით, თუ კერძოდ მოხნან და მოთესონ. ჩვენმა მღვდლებმა, სოფლის მასწავლებლებმა და თავადაზნაურობამ უნდა ხელმძღვანელობა გაუწიონ და ჩააგონონ ყველას ამ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმისთვის თავგანწირულ საჩქარო მუშაობის საჭიროება. არ დაზოგოთ უკანასკნელი კაპეიკი თესლის შესაძენათ; არ დაზოგოთ შრომა და ურთიერთი დახმარება. ვეცადოთ, რომ ერთი ადლი მიწა გამოუყენებელი არ დაგვრჩეს. ყველას შეუძლია, ხარი და ცხენიც რომ არ ჰყავდეს, თოხით მოთოხნონ და თავის სამყოფი ქართოფილი, სიმინდი და ბოსტნეული მოიყვანოს; მხოლოდ საჭიროა გამოიჩინოს უმცირესი შეგნება დღევანდელ წუთისა და უმეტესი უნარი შრომისა. ნურავის ნუ გვექნება ნურც რუსეთის ბედლების, ნურც სხვისი თადარიგის იმედი, ყველამ ჩვენის შრომის ნაყოფის იმედი და ჩვენით დაჭერილ თადარიგის იმედი ვიქონიოთ, თუ გვინდა უსაშინელესი უბედურობა ავიცდინოთ.

გიორგი გორდეზიანი.

რევოლუციის დღიური

თბილისის მცხოვრებლებმაც კვირას უკვე ცხადად განიცადეს რევოლუციის დღეები და თავისი ნდობა ახალ მთავრობის მიმართ საერთო მიტინგზე განაცხადეს. ხალხთან ერთად მთელმა თბილისის გარნიზონმაც თავისუფალ რუსეთს ერთგულება შეჰფიცა და თავისი ძალა ხალხის წარმომადგენლების განკარგულებას დაუმორჩილა. კვირას, დილითვე, თბილისის პოლიციას იარაღი აჰყარეს და ქალაქში მშვიდობიანობის დაცვა გადაეცა პრაპორჩიკების სკოლას და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს.

ჯერ-ჯერობით მთელი კავკასია უმართველოდ დარჩა. მეფის ნაცვლად ნამყოფი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უკვე რუსეთისაკენ გაემართა და თან წაიყვანა ორივე თავისი თანაშემწენი. ამასთანავე ახალ მთავრობის განკარგულებით ყველა გუბერნატორები და მისი თანაშემწენიც გადაყენებულები არიან. ასეთი გარემოება მეტად საშიშ მდგომარეობასა ჰქმნის. უმართველო ქვეყანას დიდი გასაჭირი ელის. ყოვლად შეუძლებელია საქმის მოწესრიგება სწრაფად მოხდეს. ჩვენ, ქართველებს, უფრო კი ჩვენ მოწინავე მესვეურებს საკმაო დაკვირვება ჰმართებთ ამ შემთხვევაში. სწორედ ახლაა საჭირო ქართველობამ თავის უფლების სურვილიც და თავის-თავის ბატონ-პატრონობის უნარიც რაც კი შეიძლება მალე გამოიჩინოს. რუსეთის სახელმწიფოებრივ მექანიზმის დასუსტების მიზეზი მის უკიდურეს ცენტრალიზაციაშია ჩამარხული. ძველი მთავრობა შეუბრალებლად ახრჩობდა როგორც რუსეთის ადგილობრივ საზოგადოებრივ ინიციატივას, აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნების მართვა-გამგეობის სურვილს. ახალი მთავრობა წმინდა ტაქტიკური მოსაზრებითაც კი ამ მთავარ საკითხს მთელი თავისი ყურადღებით უნდა მოეპყრას და ზოგიერთა სახელმწიფო ფუნქციები რუსეთში მცხოვრებ ერებს გადასცეს. ეს უნდა მოხდეს ახლავე, დაუყოვნებლივ, რადგან ეს იქნება ერთად-ერთი საშუალება, რომ სამუდამოდ მოსპოს რეაქციონერთა სულისკვეთება და აღსდგეს უნარი აქტიურ მოქმედებისა. მეტად განსაკუთრებულ მომენტში უხდება მუშაობა ახალ მთავრობას. მრავალი პროგრესიული ძალები დღეს ბრძოლის ველზე იბრძვიან. სახელმწიფო დაწესებულების სასურველ პირთა შევსება დიდათ საძნელო საქმეა. მართვა-გამგებლობის დეცენტრალიზაცია კი ეროვნულ ნიადაგზე უეჭველად გამოიწვევს ახალ ძალებს და საქმიანობას მეტი სიცხოველე მიეცემა. პოლიტიკური თავისუფლება სავსებით ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას, ვერ განამტკიცებს სახელმწიფო პრინციპებს, თუ ერი თვითგამოურკვეველ სახელმწიფო მართვა-გამგებლობის ინიციატივას მოკლებული იქნება. ერმა ეხლავე უნდა იგრძნოს თავისუფლება. ახალმა მთავრობამ თავის მხრივ ახლავე უნდა განუცხადოს მას ნდობა და გადასცეს მას სახელმწიფო მართველობის ორგანიზაციის განმტკიცება.

უშველებელ რუსეთის სამეფო ტახტი ყველასათვის მოულოდნელად ცარიელი დარჩა. სამასის წლის წინად არჩეულ რომანოვის დინასტიამ ტახტი დაჰკარგა. მიხეილით დაიწყეს მეფობა რომანოვეებმა და მიხეილითვე გაათავეს. ადვილი მოსალოდნელია დამფუძნებელმა კრებამ რესპუბლიკა გამოაცხადოს და მონარქიული წესწყობილება სამუდამოდ გააუქმოს.

ჯუანშერ.

ტრაქტატის ზოგიერთი მუხლი

ჩვენმა ხალხმა და მასთან განათლებულმა საზოგადოებამ თითქმის სრულიად არაფერი იცოდნენ და არც იციან ამ დიადის პოლიტიკურის აქტის შესახებ და ამიტომ ურიგო არ იქნება, დავბეჭდოთ მოკლედ მაინც ისტორიული ცნობები, რათა ჩვენმა ხალხმა გაითვალისწინოს უმთავრესი მომენტი ისტორიულის ფაქტისა. ვიდრე საქართველო საბოლოოდ შეუერთდებოდა რუსეთს, რამდენიმე ტრაქტატი იყო შეკრული რუსეთსა და საქართველოს შუა. პირველი და უმთავრესი მომენტი არის 1783 წლის ტრაქტატი, შეკრული რუსეთის დედოფლის ეკატერინე დიდსა და საქართველოს მეფის ერეკლე მე-II შუა. რადგან ოფიციალი ტრაქტატი ძველის ენით არის დაწერილი და ცოტათი გაუგებარია, ამიტომ საჭიროდ ვსცანით ტრაქტატის შინაარსი მოკლედ და მარტივად გადავცეთ მკითხველთ:

მუხლი 1. 1783 წლის ტრაქტატით ქართლისა და კახეთის მეფეებმა იცნეს უზენაესი ხელმწიფება და მფარველობა რუსეთის იმპერატორებისა და პირობა მისცეს მათ ერთგულებისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ მსახურებისა.

მუხლი 2. რუსეთის იმპერატორებმა კი მიიღეს თავიანთ თავზე ეს უზენაესი მფარველობა ქართლისა და კახეთისა და პირობა დასდეს, რომ ხელუხლებლად შეინახვენ ამ სამეფოს ტერიტორიას.

მუხლი 3. ქართლისა და კახეთის მეფეებმა მოვალეობად მიიღეს, მემკვიდრეობით ტახტზე ასვლისას, გამოითხოვონ იმპერატორებისგან დამტკიცება და ინვესტიტურა.

მუხლი 4. უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება დაუმორჩილონ იმპერატორების კონტროლს.

მუხლი 5. რუსეთის მთავრობასთან დამოკიდებულებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეს უნდა ჰყოლოდა მინისტრი, ან პრეზიდენტი რუსეთის ტახტის წინაშე და რუსეთის მთავრობას—ქართლ-კახეთის მეფის ტახტის წინაშე.

მუხლი 6. რუსეთის იმპერატორებმა ვალად იდვეს: ქართლისა და კახეთის ხალხი მიიღოს, როგორც რუსეთის ახლო მოკავშირე და მათი მტერი ჩასთვალოს თავის მტრად; მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი დასტოვონ განუწყვეტლივ ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე, ქვეყნის შინაგანი გამგეობა, სამართალი და ხარჯის მოკრეფა ყოფილიყოს ქართლ-კახეთის მეფის სრულს უფლებაში და **რუსის არც სამხედრო, არც სამოქალაქო მოხელეთ უფლება არ ჰქონოდათ რაიმე განკარგულება მოეხდინათ.**

მუხლი 7. ქართლისა და კახეთის მეფეებმა ივალეს: თავიანთ ჯარებით ყოველთვის მზად ყოფილიყვნენ იმპერატორის სასამსახუროდ, დაეკმაყოფილებიათ ყველა კანონიერი მოთხოვნილება მისი (იმპერატორის) წარმომადგენლისა, დაეფარათ რუსეთის ქვეშევრდომნი ყოველგვარ შეურაცხყოფისაგან და შევიწროებისაგან და მოსამსახურეს პირთა დაწინაურებისა და დაჯილდოების დროს სახეში მიიღონ ამ პირების დამსახურება რუსეთის ტახტის წინაშე.

მუხლი 8. ქართველთა კათალიკოსი დაინიშნოს უწმიდესის სინოდის წევრად.

მუხლი 9. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას მიეცა რუსეთის თავადაზნაურობის უფლება-უპირატესობანი.

მუხლი 10. ქართლ-კახეთის ყოველ მცხოვრებს რუსეთში დასახლების, მგზავრობის და დაბრუნების უფლება ჰქონდეს.

მუხლი 11. ქართლისა და კახეთის ვაჭრებს რუსეთში და რუსეთისას ქართლ-კახეთში თანაბარი უფლება-უპირატესობანი ექნეოდეთ.

მუხლი 12. ეს ტრაქტატი სამუდამო და უცვლელია და თუ რაიმე ცვლილება ზემოდ მოყვანილ ტრაქტატში შეიძლებოდა მომხდარიყო, მხოლოდ ორივე მხარის (ქართლ-კახეთისა და რუსეთის) თანხმობით.

ეს ხელ-შეკრულება ეკატერინე დიდსა და ირაკლი მეორის შორის დიდის ამბით გამოაცხადეს თბილისში 20 აგვისტოს, ნოემბერში კი ირაკლის ჩამოუტანეს ეს ხელშეკრულება ეკატერინეს ხელ-მოწერილი და დამტკიცებული. ირაკლიმ ერთგულობაზე შეჰფიცა რუსეთის იმპერატორებს; თავ. გარსევან ჭავჭავაძე დაინაშნა ირაკლის წარმომადგენლად რუსეთის იმპერატორების ტახტის წინაშე; ნოემბერშივე თბილისში ჩამოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი. ორივე მხარე მეტად კმაყოფილი იყო: ირაკლი იმიტომ, რომ ეგონა—მშვიდობიანობის და ხელშეუშლელის ცხოვრების და განვითარების ხანა დაუდგა საქართველოსაო და ეკატერინე მეორე კი იმიტომ, რომ სისხლდაუღვრელად, უმსხვერპლოდ ასეთი ძვირფასი განძი შესძინა რუსეთის იმპერიას, როგორიც იყო და არის საქართველო.

ხალხს

ძველი მთავრობა აღარ არის. უმაღლესი მოხელენი მოიხსნენ ქალაქში. უნდა მოიხსნენ სოფლის მოხელენიც, ვინც კი ძველი მთავრობისაგან არის დანიშნული. მთელი მართვა-გამგეობა ხალხმა უნდა ჩაიგდოს ხელში—ეს არის მიზანი ახალი წესის.

ქართველო ხალხო, შეერთდით, დაირაზმენით! გამოცვალეთ ძველი მოხელენი. ამოირჩიეთ სანდო და პატივით აღჭურვილნი პირნი.

მხარში ამოუდექით თქვენ მიერ ამორჩეულ პირთ! უკვე არსებულ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებთან და კოოპერატივებთან ერთად დაიცავით თქვენი ქონება, კერა და პატივი!

დინჯათ და შეგნებულათ შეუდექით დიდს საქმეს! დაივიწყეთ პირადი უთანხმოება, მიეცით მხარი მხარს, სოფელო, სოფელს გაუწოდე ხელი! შეერთდით ყველანი!

ღირსეულად დავხვდეთ დიდ განსაცდელს!

მოწოდება

გუშინ 5 მარტს საღამოს ოთხ საათზე კავკასიის ფრონტის საინჟინერო-საამშენებლო დრუჟინების თბილისის მმართველ კომიტეტის მოსამსახურეებმა გამართეს კრება. კრების მიზანი იყო, ყოველ შემთხვევისთვის, თავსაცავ ორგანოს დაარსება. რამდენისამე საათის კამათის შემდეგ, თავის მხრივ ამოირჩიეს ჩვიდმეტამდე წარმომადგენელი, რომლებსაც დაევალათ ქალაქის თვითმართველობის და აგრეთვე სხვა საზოგადო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად შეუდგნენ თავდაცვის კომიტეტის დაარსებას. აგრეთვე მოუწოდებენ სხვა წრეებსაც, ვინც კი თანაუგრძნობს დღევანდელ დიად განმათავისუფლებელ მოძრაობას, დაუყოვნებლივ შეუდგნენ ჩვენთან ერთად ასეთ ორგანოს დაარსებას, რადგან დუმილისა და მოცდის დრო აღარ არის.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

თბილისში შესდგა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყველა საქალაქო და საადმინისტრაციო საქმეები. კომიტეტში წევრებად შედიან: წარმომადგენელნი მუშათა დეპუტატების საბჭოსი, ქალაქის საბჭოსი, პოლიტიკურ პარტიებისა და სხვა და სხვა ორგანიზაციებისა.

6 მარტს, საღამოს, სახალხო სახლში მოხდა კრება მუშათა დეპუტატების საბჭოსი. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. დანარჩენ განსახილველ საგანთა შორის, კრებას უნდა აერჩია რწმუნებულები ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში. ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმნენ: ნ. ჟორდანია, ალ. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, ს. რაზმაძე, ბ-ნი ჭიაბრიშვილი, ბ-ნი მაისურაძე, ევსეევი, ჩერნიშოვი, ერზიკიანი და ხანოიანი.

ამავე დროს ქალაქის საბჭოში კრება ჰქონდათ ხმოსნებს და, კერძო თათბირზე შეთანხმების შემდეგ, აღმასრულებელ კომიტეტში რწმუნებულებად აირჩიეს: ა. ი. ხატისოვი, ერზიკიანი, ჯანოიანი, ბერბეროვი ი. მ. დოლუხანოვი, არუთინოვი, ბაბოვი, ა. მ. არღუთინსკი, ვესელოვზოროვი და შ. მესხიშვილი.

ამ რიგად აღმასრულებელ კომიტეტში შედიან: მუშათა დეპუტატების საბჭოს მხრივ 10 კაცი, ქალაქის თვითმართველობისა 10, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი 5, სოც.-დემოკრატებისა 3, სოც.-ფედერალისტებისა 2, „საქართველო“-სი 1, ჰინჩაკისტებისა 1, დაშნაკცუტუნებისა 2, დროშაკანებისა 1, მუსულმანებისა 4, ებრაელებისა 1, კადეტებისა 1, კოოპერატივთა კავშირისა 2, ვექილთა საბჭოსი 1 და ვაჭართა საზოგადოებისა 1, სულ 45 კაცი.

კომიტეტი 6 მარტს, ღამის 11 საათზე, შეკრება და ითათბირა. პრეზიდიუმის ასარჩევად და საჩქარო საკითხების განსახილველად კრება მეორე დღისათვის (7 მარტი) გადაიდვა.

სასურსათო საქმე

სახელმწიფო სათათბიროში დაარსებულ სასურსათო კომისიის მოწერილობის თანახმად, 4 და 5 მარტს თბილისში შესდგა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც წევრებად შედიან წარმომადგენელნი: 1) ქალაქის თვითმართველობისა, 2) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, 3) თბილისის კოოპერატივთა კავშირისა, 4) გორის კოოპერატივთა ბიუროსი, 5) კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირისა, 6) ქართლის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირისა, 7) დუშეთის კავშირისა, 8) კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, 9) ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, 10) სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა და ზემო აღნიშნულ სამ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ საკოოპერაციო სექციებისა. ყველა წარმომადგენელთა წევრთა რიცხვი უდრის 42. კომიტეტმა თავის მხრივ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ნ. ზ. ელიავა (თავმჯდომარე), კ. ი. შემეტოვი (თავმჯდომარის ამხანაგი) და გ. გ. კაფიევი (თავმჯდომარის ამხანაგი). კრებაზე და კრების დასრულების შემდეგ აღძრულ იქმნა საკითხი, რომ კომიტეტში შედიოდნენ წარმომადგენელნი სხვა საზოგადოებათა და ორგანიზაციებისაც, როგორც, მაგალითად, ქართველ თავად-აზნაურობისა, ქართულ და სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებათა, ვაჭართა საზოგადოებისა და სხ., მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა ხმის უმრავლესობით შემდეგისათვის გადაიდვა. დასასრულ, კრებამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს სახელმწიფო საბჭოს დროებით კომიტეტს.

ახალი სასურსათო კომიტეტის მოვალეობაა სურსათ-სანოვაგე შეიძინოს მთელს გუბერნიისათვის და საჭიროების კვალობაზე გაუნაწილოს მცხოვრებლებს. კომიტეტს ნება აქვს სარაიონო განყოფილებანი მოაწყოს მაზრებსა და სოფლებში და მჭიდრო ორგანიზაცია შექმნას იმათაგან.

სახალხო მიტინგი თბილისში

კვირას, 5 მარტს, ნაძალადევის მოედანზე შესდგა დიდი სახალხო მიტინგი. აღარებულმა ხალხმა დილიდანვე იწყო დენა მოედნისაკენ და დილის 10 საათისათვის ნაძალადევის დიდი მოედანი რამოდენიმე ათასი ხალხით გაივსო. ჯარისკაცები, მუშები და აღარებული სხვა და სხვა ეროვნების ხალხი მოედანზედ გრგვინავდა და მოუთმენლად ელოდდა ორატორთა სიტყვებს. სოციალდემოკრატიულ პარტიის სახელით რამდენიმე ორატორმა ილაპარაკა. ორატორები ეხებოდნენ დღევანდელ მომენტის სიდიადეს და მოუწოდებდნენ ხალხს მხარი დაეჭირა ახლ მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსათვის. ილაპარაკეს სოციალისტ-ფედერალისტთა ორატორებმაც. მოუწოდეს ხალხს მხარი დაეჭირათ რევოლიუციისათვის და განემტკიცებიათ ხალხის მიერ მოპოებული უფლებანი. მოითხოვეს ეროვნული საკითხის ვრცლად წამოყენება.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით გამოსულმა ორატორებმა განმარტეს დღევანდელი მომენტის დიდი მნიშვნელობა, ხალხს შეგნებულ და დინჯ მოქმედებისაკენ მოუწოდეს, მოუწოდეს მხარი დაეჭირათ დემოკრატიის უფლებათა განმტკიცებისათვის, რომლის უძლეველი ძალით დაეცა ძველი წესწყობილება აღნიშნეს უფლება-აყრილ ქართველი ერის მწვავე ტანჯვანი, რომ ქართველ ერს სული ამოსდიოდა უხეშ მბრძანებლის ქვეშ და სთქვეს, რომ ქართველი ერი არც დღეს არის სავსებით გახარებული და ლხინი მისი საზეიმო იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა სხვა ერებთან ერთად მოიპოვებს თავისუფლების გვირგვინსო. ორატორებმა მოუწოდეს ხალხს განეცხადებია გამარჯვება თავისუფალ რუსეთისა, გამარჯვება აღდგენილ, თავისუფალ საქართველოისა. ეროვნულ დემოკრატიის წარმომადგენლებს ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა და მათ მიერ წამოყენებულ ლოზუნგებს ძლიერის ტაშით მიესალმა. მიტინგზედ გამოცხადდა კავკასიის შტაბის უფროსი გენერალი ბოლხოვიტინოვი, რომელიც მიესალმა სახალხო მიტინგს, განაცხადა თავისი მიმ-

ხრობა რევოლიუციონურ არმიისა და მოუწოდა ჯარს სიდინჯე და დაწყნარებული განხილვა მომენტისა და მიმართა აესრულებინათ ყოველივე ბრძანება უმაღლეს მთავარსარდლისა, რადგან უდიდესი ლოზუნგი ეხლა მტრის დამარცხებააო. ილაპარაკეს მრავალმა ჯარისკაცებმა და მუშებმა, ოფიცრებმა და იუნკრებმა და საპყრობილედან ახლად გამოსულ ტუსაღებმა. მიტინგი 3 საათზედ დასრულდა.

დაკარგული სიმდიდრე ივერიის ეკლესიისა

უკვე განვლო ერთმა საუკუნემ მას აქეთ, რაც საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. უკვე განვლო ასმა წელმა, რაც რუსეთის მთავრობა მაჯლაჯუნასებ დააწვა ჩვენს ხალხსა და სწოვდა სისხლსა. ამ ხნის განმავლობაში ატყავა ქართველი ხალხი; წაგვართვა სამართალი, სასამართლოებსა და სასწავლებლებში მოსპო ქართული ენა. მშრომელი ხალხი მათს გადასახადებს ველარ აუვიდა. ქართველისთვის პირში სულიც კი შეშურდა და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება მეტი ხალხი გადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან ჩვენს საუკეთესო მიწა-წყალზე მაშინ, როდესაც ერთი ციდა ადგილი ჩვენც არა გვყოფნიდა.

მთავრობა ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება ისეთი ექსარხოსები გამოეგზავნა, რომელთაც უფრო კარგათ გაეძარცვათ და გაეყვლიფათ უძველეს ივერიის ეკლესიის ქონება, ძალით აღმოეფხვრათ ქართული ენა და შემდეგ ნაძარცვ ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში.

ასე მოიქცა ევსევი, რომელმაც 200.000 მანეთი დაუტოვა თავის მემკვიდრეებს და პავლეც, რომელმაც კვერთხით ხელში დასწყევლა ივერიის ეკლესია და თვითონაც წყეული ხალხის მიერ გაიქცა საქართველოდან.

სინოდმა აუწერელ ვნებისა და ბოროტების მეტი არაფერი მისცა ქართულ ეკლესიას. მისთვის ეს ეკლესია ნამდვილი ბარბაროსული ქვეყანა იყო. სინოდის მოხელეებმა მტკვარში გადაჰყარეს ყველა კანონები და დადგენილებანი ზესახებ ქართულ ეკლესიისა. დასწვეს აუარებელი უძველესი საეკლესიო დოკუმენტები; რაც დარჩა, პეტროგრადში წაიღეს და ბოლოს ივერიის ეკლესიასაც ავტოკეფალია წაართვეს. მათ მოსპეს 25 ეპარქია, რომელთა შორის ზოგი 15 საუკუნის განმავლობაში არსებობდა. გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და ქართული საეკლესიო მამულები ხაზინას გადასცეს.

გარყვნილი ექსარხოსი თეოფილაქტე პირდაპირ აბრჩობდა ქართველებს და იქამდის მივიდა, რომ შეეხო წმიდა ნინოს საფლავსაც, მაგრამ ღმერთმა აღარ დააცალა და იქვე საფლავთან ამოართვა სული; ექსარხოსმა ევგენი ბაჟენოვმა მონასტრები და ეკლესიები დაქურდა; ისიდორემ ქართულ ეკლესიებს მამულები წაართვა; ექსარხოსმა ევსევი ილინსკიმ, რომელიც მეტად გახრწნილი, თავაშვებული და მეძავი ადამიანი იყო, გაჰყიდა ქართველ კათალიკოსთა უძვირფასესი სამოსელი, ხატებსა და სამოსლებს ძვირფასი თვლები ჩამოხსნა და მონაწილეობა მიიღო გელათის მონასტრის საუნჯეთა დატაცებაში. ექსარხოსმა ევსევიმ რამდენიმე ასი-ათასი მანეთი იშოვა, იმის ექსარხოსობის დროს კი ქართულ ეკლესიას ორი მილიონ მანეთის ნივთები დაეკარგა. პავლე ექსარხოსმა ძვირად მოიხსენია ქართული ენა და ქართველი ერი. ამის გამო თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წ. ექსარხოსს წერილი მისწერა და შეუთვალა, ბოდიში უნდა მოიხადოთ ქართველ ერის წინაშეო. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა: მაშინდელმა კავკასიის მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა ექსარხოსის თხოვნით ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მალე ყიფიანი პეტროგრადში გაიწვიეს საქმის გამოსაკვლევად, მაგრამ იგი მოკლულ იქმნა იმ სასტუმროში, სადაც სცხოვრობდა. მოსყიდული მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

1870 წლამდის გელათის მონასტერს აუარებელი სიმდიდრე ჰქონდა. იმ დროს გელათში ინახებოდა: უძველესი, მე-XI საუკუნის ქართული სახარება ოქროს ყდით, იშვიათის და საუცხოვო მაიოლიკებით. ეს სახარება ექსარხოსის ნებართვით წაიღო ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა, რომელმაც ოქრო ჩამოხსნა და ვერცხლის ყდა გააკეთებინა. ეხლა წინანდელი ოქროს ყდა ინახება პეტროგრადის სტროგონოვის მუზეუმში, რომელსაც იგი გრაფმა პანინმა გადასცა.

ამ ყდაში ინგლისელები იძლეოდნენ ერთ მილიონ მანეთს. ამავე ეკლესიაში ინახებოდა იმერეთის კათოლიკოსთა საპატრიარქო სამოსელი, რომელიც სტამბოლის აღებამდის იყო გაკეთებული და ძალიან ძვირად ღირდა. ამ სამოსელიდან გადააძნეს 8 გირვანქა ოქრო, მხოლოდ მარგალიტებიდან და ფირუზებიდან ქალებს სამკერდულები დაუკეთეს. გელათის მონასტერი გასძარცვეს პანინმა და ლევაშოვმა ექსარხოსის ნებართვით. ამავე ხანებში ამავე ექსარხოსის ნებართვით სიონის უძვირფასეს ტაძრიდან დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა ძვირფასი ქვა. ასეთივე დღე დააყენეს მცხეთისა, ალავერდისა, ბოდბისა, ნინოწმიდისა, ივანე ნათლიმცემლისა, ჯუმათისა, შემოქმედისა, მარტვილისა და სხვა მონასტრებსა და ტაძრებს.

რამდენიმე წლის წინად სიონის ტაძრიდან გრაფმა ბობრინსკიმ ექსარხოსის ნებართვით მრავალი ძველი ხელნაწერი წაიღო. გელათის მონასტრიდან დაიკარგა საპატრიარქო თვალ-მარგალიტებით შემკული მიტრა, რომელსაც ამშვენებდა მეფე ვახტანგის გვირგვინის ბრილიანტის ჯვარი. ვახტანგმა ეს იშვიათი და საუცხოვო ბრილიანტები სპარსეთიდან ომის დროს იშოვა. პავლეს დროს მეტეხის ტაძრიდან დაიკარგა ხუთიათას თუმნად ღირებული მეტეხის ხატი, რომელიც წინად ცხრა-კლიტულში ინახებოდა. 1891 წელს ეს ხატი ამავე ეკლესიის სახურავის ქვეშ იპოვეს, მაგრამ ზედ არაფერი ჰქონდა. იმავე ექსარხოსის დროს სიონიდან დაიკარგა ძვირფასი ნინო-წმიდის ღვთის-მშობლის ხატი. პალლადიმ ერთ სომეხ მხატვარს ნება დართო საქართველოს მონასტრებიდან მრავალი ხატი წაეღო და გაეყიდნა. ამიტომ მოხდა, რომ უძვირფასესი და საუკეთესო ქართული მანუსკრიპტები ლონდონსა, რომსა, პარიზსა და ბერლინის მუზეუმებში ინახება.

ამ ჟამად ქართულ საექსარხოსოზე იხარჯება 809,000 მანეთი. აქედგან 200,000 მან. იხარჯება რუსისა და ბერძნების სამღვდელოებაზე და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაზე, მაგრამ ამაზე უფრო საინტერესო ის არის, თუ რამდენი სახალხო ქონება წაიღო რუსეთის მთავრობამ საქართველოდან.

ქართულ ეკლესიას რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა თბილისში: ერეკლეს აბანო, 13 ბაღი, 11 სახლი, 28 დუქანი, 1 სამღებრო, სათევზაო ადგილი, ქარვასლა და ადგილი ზომით 437,719 ოთხკუთხი საჟენი, საერთოდ ღირებული 28,910,000 მანეთად. თბილისის გუბერნიაში: 2 საგაჯო ადგილი, 11 საკირე, აგურხანა, 9 სამღებრო, 2 თევზის დუქანი და 282,600 დესეტინა მიწა, სულ 79,570,000 მანეთად ღირებული. იმერეთში: 40,475 დესეტინა მიწა, 29,787,500 მანეთად ღირებული; გურიაში: 336 დესეტინა, 328,000 მანეთად ღირებული, საერთოდ კი მთელი წართმეული ქონება ღირს 137,600,000 მანეთი. ამას რომ საეკლესიო 14,147 კომლი გლეხი მივუმატოთ, 140,333,000 მანეთზე მეტი გამოვა.

ამ რიგად, რუსეთის მთავრობამ ქართველ ერს ას-ორმოცი მილიონი მანეთი წაართვა. მერე იცით, რას ნიშნავს ერთი მუჭა ხალხისთვის ას-ორმოცი მილიონი მანეთი? ამ აუარებელ ქონების, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 15 მილიონი მანეთი წმინდა შემოსავალი ექნებოდა.

საყურადღებო ის არის, რომ სომხებს 1905 წ. მთავრობამ უკანვე დაუბრუნა საეკლესიო მამულები; საქართველოს საეკლესიო მამულების შემოსავალი კი, რომელიც წელიწადში ათ მილიონ მანეთს უდრის, დღესაც ხაზინას მიაქვს და ამ ფულიდან ქართულ ეკლესიაზე მხოლოდ $^{3}/_{4}{}^{0}/_{0}$-ს ხარჯავს.

კერძო კაცის ცხოვრებაში ასი წელიწადი დიდი დროა; ამ ხნის განმავლობაში კაცი იზრდება, ვითარდება, თანდათან ბერდება და კვდება კიდეც. ერის ცხოვრებაში, რაც უფრო მეტი დრო გადის, მეტი გამოცდილება, მეტი სიბრძნე და აზრის სიმწიფე ემატება ხალხს. განვლილი ასი წელიწადი ამ გამოცდილების, გამჭრიახობის და თვითცნობიერების თავდები უნდა იყოს, განვლილი ცხოვრება, თავისი შეცდომებით, თავის უკუღმართობით გონების გასავარჯიშებელი, გონების გამოსაფხიზლებელი მასალა უნდა იყოს.

განვლილი ერთი საუკუნე წარსულ ცხოვრებისა გვავალებს, რომ ჩავუფიქრდეთ ჩვენს მომავალს. რა არის ჩვენი მომავალი? ერთის კალმის მოსმით არ ითქმის, ვერ გადაწყდება. იმას დიდი მოფიქრება უნდა, წარსულის ცოდნა. წარსულ ცხოვრებასთან თანამედროვე ცხოვრების დაკავშირება. ამ კითხვებზე პასუხის მოცემისთვის ერთად-ერთი უტყუარი გზაა— თვით-ცნობიერების განმტკიცება, გაღონიერება; თვით ცნობიერების გაღვიძება სულიერ წარმატების თავდებია.

ერის ცხოვრებაში მისწრაფება ციდან კი არ უნდა ჩამოვარდეს, არამედ თვით ცხოვრებიდან წარმოსდგეს, იმის საჭიროებიდან; ხოლო ეს ჩვენი უცოდინარობა, სხვათა შორის, ჩვენი წარსულის უცოდინარობიდან იბადება. და აი სწორედ ამისათვის აუცილებლად საჭიროა შევიძინოთ და გავითვალისწინოთ ის ხანა ჩვენის ისტორიისა, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, პოლიტიკური მთელი რუსეთს უერთდებოდა, და როდესაც სწყდებოდა მისი მომავალი სვე-ბედი.

ერთ მორწმუნე პატარა საქართველოს ერი შეუერთდა რუსეთის ძლიერ ერს, შეუერთდა თავისი ნებით და არა ბრძოლით. როგორც ტრაქტატები მოწმობენ, საქართველოს მართვა-გამგეობა დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ სააქაო სამოთხე იშოვნა, როგორიც იყო და არის საქართველო, ამის მაგიერ ჯილდოთ რა გვიძღვნა.. ტანჯვა-წამება, აკლება-აოხრება. რაც ამ ას წელს დააკლდა და ვერ შეისრულა, ეს უკანასკნელს წლებში შეგვისრულა. გაგვახსენდა შაჰაბაზის და აღა-მამედ-ხანის დროინდელი ხანა. ისე აოხრა ყველაფერი საქართველოში, რომ ქვა-ქვაზედ აღარ გაუშვა. გაანადგურა და ცეცხლს მისცა დასავლეთ საქართველოს დაბასოფლები. აღარ დაინდო მოხუცი, აღარც უსუსური ბავშვი, ყველას ნამუსი აჰხადა რუსის მხედრობამ. ხალხი ხევებში გაიხიზნა, რათა შვილს დედა და ქმარს ცოლი გადაერჩინა ბილწ ბაშიბუზუკების ხელიდან. ყველგან სისხლის მორევი იდგა. საქართველოს ქალაქებში სახრჩობელა დადგეს და ზედ დაჰკიდეს სიმართლის მაძიებელნი, წუთი სოფელს გამოასალმეს მართლის მთქმელნი.

ამ უკანასკნელ ორ წელს საქართველოდან რუსეთის ცივ ქვეყნებში 200,000 კაცი გადაჰლუპეს. აი ასეთი ჯილდო უძღვნეს რუსეთის მოხელეებმა საქართველოს იმის შემდეგ, როცა „ბრწყინვალე თავად-აზნაურობამ“ დიდის ამბით იდღესასწაულა 1910 წელს რუსეთთან ასი წლის ტანჯვა-წამება და დიდი ქებათა-ქება შეასხეს რუსეთის მოსყიდულ მოხელეებს.

კონ. ყიფიანი.

შეცდომათა გასწორება

გუშინდელ სამეთაურო წერილში **დაბეჭდილია**: ქართველთა სამკვიდრებელი საზღვარი შემოარღვიეს. **უნდა იყოს**: ქართველთა სამკვიდრებელს საზღვარი შემოარღვიეს. **დაბეჭდილია**: საქართველოს უძველესს ეკლესიასაც შემოერტყნენ ბჭენი სიმტკიცისანი. **უნდა იყოს**: ...შემოერღვნენ და სხვა. **დაბეჭდილია**: ...ის იკადრა რუსეთის მეფემ ალექსანდრე პირველმა. **უნდა იყოს**: პავლე პირველმა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.15	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ეღირება 12 მ.—50 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.



მიიღება ხელის მოწერა
სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე
26 წიგნი
გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხვედა მამულისადმი,
4. ბალი სევდისა,
5. საგალობელნი,
6. წიგნი სიმღერებისა,
7. სულამიტ, სამიჯნურო ჰანგები
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების ხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძნეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.
23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—სა,
26. უცხო ლირიკა.

ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.
ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან ,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.
ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.
მთავარი მისამართები თბილისში: წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს“ რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის“ კანტორა.
ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული
(601—2) გამომცემელი **ნარდონი.**

„საქართველოს“ კანტორა
სთხოვს ხელის მომწერლებს კეთილ ინებონ და ათ მარტამდე შემოიტანონ ხვედრი ფული

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და ხამხელის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის ხაზინის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სუსუნატით (გონორეა)
ავადმყოფებს,
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჰაჰებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?
იმიტომ, რომ,
ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.
მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საჭირდება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის ფარმაცევტ ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამბეგის შესახვევი № 4